განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი, 2022

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ- სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245427337
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ილია ბოცვაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი,

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინა რზგოევა, სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო. საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ღუღუნიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ბიზნესის ადმინისტრირების საგანანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა შედგენილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის (დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 7 ივლისის №10/4 გადაწყვეტილებით) მიხედვით. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის მისანიჭებელი კვალიფიკაციით, მოიცავს 120 კრედიტს. აქედან ყოველ სასწავლო წელს სტუდენტს ეძლევა საშუალება აითვისოს 60 კრედიტი. ყოველი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 20 კვირას, საიდანაც 15 კვირა ეთმობა მეცადინეობების ჩატარებას, ხოლო 4 კვირა – სტუდენტთა საგამოცდო სესიის მიმდინარეობას. საგანმანათლებლო პროგრამაში 60 ECTS კრედიტი ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კომპონენტებია, რომელშიც გათვალისწინებულია არჩევითი სასწავლო ბლოკი 5 ECTS კრედიტის მოცულობით.
საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს კონცენტრაციას „საზღვაო ლოგისტიკის მენეჯმენტი“, რომლის მოცულობაა 30 ECTS.
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული 9 სწავლის შედეგი. მისანიჭენებელი კვალიფიკაცია არის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 27 ივნისს. ვიზიტამდე, 25 ივნისს გაიმართა წინა მოსამზადებელი შეხვედრა, შეხვედრას ესწრობოდნენ დავით სიხარულიძე, ილია ბოცვაძე, ქრისტინა რზგოევა, თამარ ღუღუნიშვილი. თითოეული სდანტარტის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. საზღვაო აკადემიაში სამუშაო ვიზიტი დაიწყო 27 ივნისს დაიწყო 10:00 საათიდან. სამუშაო განრიგის მიხედვით შედგა შეხვედრა/გასაუბრება ადმინისტრაციასთან (საზღვაო აკადემიის რექტორი, რექტორის პირველი მოადგილე, რექტორის მოადგილე, იურიდიული და ადამიანური რესურსების, მართვის დეპარტამენტის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროგრამის ხელმძღვანელები), აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან. ასევე, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, საუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და

ა.შ) დათვალიერება. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ:

პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.1 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია
1.2 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია

მეორე სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.1 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია

2.2 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია

2.3 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია

2.4 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია

2.5 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია

2.6 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია

მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.1 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია

3.2 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია

მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1 კომპონენტი შესაბამისობაშია

4.2 კომპონენტი შესაბამისობაშია

4.3 კომპონენტი შესაბამისობაშია

4.4 კომპონენტი შესაბამისობაშია

მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1 კომპონენტი შესაბამისობაშია

5.2 კომპონენტი შესაბამისობაშია

5.3 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდირებულია სწავლის შედეგების კურიკულუმის რუკაში, კურსებით სწავლის შედეგების მიღწევის დონეების (გაცნობა, გაღრმავება, გამტკიცება) ლოგიკის დახვეწა და გადახედვა და კურსის შინაარსთან შესაბამისობაში მოყვანა;

2. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდირებულია თითოეული პროგრამის სწავლის შედეგისთვის განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები და შეფასების პერიოდულობა

3. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, რეკომენდებულია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კომპონენტებს დაემატოს მარკეტინგის (მაგალითად, სტრატეგიული მარკეტინგი, ან მომხმარებლის ქცევა ან ციფრული მარკეტინგი და ფინანსების (მაგალითად, ინვესტიციების ანალიზი ან მმართველობითი აღრიცხვა ან საერთაშორისო ფინანსები) მიმართულების საგნები საგნები.

4. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „პროექტების მენეჯმენტი“ დამატება ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების კომპონენტებში.

5. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად განისაზღვროს ყველა ძირითადი სფეროს სასწავლო კურსები.

6. რეკომენდებულია სასწავლო კურსების „საერთაშორისო ბიზნესი“ „ელექტრონული ბიზნესი“ და „ბიზნესის კომუნიკაციები“ შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სამაგისტრო საფეხურის დონესთან.

7. რეკომენდებულია ორგანიზაციებთან მემორანდუმების გაფორმებისას მითითებულ იქნას სტუდენტების რაოდენობა, რომლის მიღებასას კომპანია აპირებს სტაჟირებისას, ასევე მემორანდუმებში მკაფიოდ დაფიქსირდეს ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები.

8. რეკომენდებულია, სტუდენტთა ინფორმირება საერთაშორისო სამეცნიერო ელ-ბაზების შესახებ;

9. რეკომენდებულია გაძლიერდეს სამაგისტრო ნაშრომების შესრულებაზე პერიოდული მონიტორინგი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია, შეფასების მარეგულირებელ წესში მიეთითოს საგამოცდო ნაშრომის შეფასების დრო;
  - სასურველია, პლაგიატზე ნაშრომის შემოწმებისას სტუდენტებს ჰქონდეთ დამოუკიდებლად საცდელი ვერსიის ატვირთვის შესაძლებლობა პლაგიატის პროგრამაში.
  - სასურველია, თანამედროვე ლიტერატურის შესახებ ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის,
  - სასურველია, სწავლების თანამედროვე მეთოდების არამარტო სილაბუსებში არამედ პრაქტიკულად დანერგვა და „ქეის სთადის“ პრაქტიკულად განხორციელება
  - სასურველია, საჯარო ლექციების ჩატარება დარგობრივი მიმართულებით სტუდენტებთან შეთანხმებით მათთვის ხელსაყრელ დროს.

- სასურველია, კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციის არხების გაძლიერება რათა მათ მიეცეთ სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა, მაგალითად ესემეს შეტყობინებების გაგზავნა;
- სასურველია, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება მიმართულების შესაბამისი პროგრამების შეთავაზება: prince2 და SAP
- სასურველია, სტუდენტები ხელმძღვანელის მხრიდან იყვნენ ინფორმირებულნი აკადემიური წერის სტანდარტებთან დაკავშირებით;
- სასურველია დაწესებულებამ განიხილოს საუკეთესო თანამშრომელთა წახალისების შესაძლებლობა.
- სასურველია გადაიხედოს საბიბლიოთეკო ფონდი და განახლებული იქნას კანონმდებლობა. ასევე, მიეცეს წვდომა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე“ ბიბლიოთეკის თანამშრომელს, ან სისტემატიურად მიეწოდოს განახლებული, კოდიფიცირებული სამართლებრივი აქტები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პასუხის საფუძველზე შემდეგი რეკომენდაცია „სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის უზრუნველოფის მიზნით, რეკომენდებულია დაიხვეწოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დებულება, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი კვლევის განხორციელების კომპონენტები“ გაუქმდა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ,,შესძინოს სტუდენტს თეორიების და კონცეფციების ღრმა და სისტემური ცოდნა. გამოუმუშავოს ბიზნესის დინამიკურ გარემოში კრიტიკულია აზროვნება და გადაწყვეტილების მიღების უნარი. მოამზადოს კონკურენტუნარიანი ლიდერები, რომლებსაც ექნებათ საზღვაო ლოგისტიკის მენეჯმენტის თავისებურებების ცოდნა, მიმდინარე ტენდენციების აღქმის, გაანალიზების, შეფასების, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების უნარები და სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საკმარისი კომპეტენციები; ასევე კვლევითი პროექტების შესრულების უნარი“. ამგვარად ბიზნესის ადმინისტრირების კურსდამთავრებულს ექნება თეორიების სიღრმისეული ცოდნა, კრიტიკული აზროვნება და გადაწყვეტილების მიღების უნარი. ეცოდინება საზღვაო ლოგისტიკის მენეჯმენტის მახასიათებლები და ასევე კვლევის უნარი. მიზნების ანალიზიდან ირკვევა, რომ არის მკაფიო, რეალისტური და მიღწევადი. პროგრამის მიზნებში ასახულია თუ რა ცოდნას მიიღებს კურსდამთავრებული, რა უნარები გამოუმუშავდება. მიზნებში ასახულია სფეროს განვითარების წვლილი. მიზნები არის დაწესებულების მისიასთან თანხვედრაში. კერძოდ ,,საზღვაო აკადემიის მისიაა: • ,,შეასრულოს საზღვაო და მომიჯნავე დარგებში კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების, კვლევების განხორციელების და ცოდნის საზოგადოებაში გავრცელების საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქცია; • უზრუნველყოს დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის, გუნდში მუშაობის, პიროვნული პოტენციალის რეალიზებისა და კვლევის უნარებით აღჭურვილი პასუხისმგებლიანი სპეციალისტებისა და ლიდერების მომზადება თანამედროვე სტანდარტების პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და უწყვეტი განათლების საწვრთნელი კურსების საფუძველზე; • იხელმძღვანელოს დემოკრატიისა და ჰუმანიზმის, გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის, ტოლერანტობისა და თანასწორობის პრინციპებით და უზრუნველყოს სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიური თავისუფლება; • გაზარდოს საკუთარი სასწავლო და კვლევითი პოტენციალი საქართველოსა და

უცხოეთის საგანმანათლებლო და დამსაქმებელ ინსტიტუციებთან თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების გზით. პროგრამის შემუშავებას წინ უსწრებდა შრომის ბაზრის შესაბამისობის კვლევა. შრომის ბაზრის კვლევა მოიცავს შრომის მსოფლიო ბაზრის ტენდენციებს. საქართველოს შრომის ბაზრის ტენდენციებს, დამსაქმებელთა მიერ საგანანმანათლებლო პროგრამის შეფასებას. დაწესებულებისათვის ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას. კერძოდ ინტერნაციონალიზაციის საკითხები მოცემულია სტრატეგიული განვითარების გეგმაში. (განვითარების სტრატეგიული გეგმა 2020 - 2024 გვ. 14). საგანმანათლებლო პროგრამები საჯაროდ ხელმისაწვდომია, განთავსებული უსდ-ს ვებ გვერდზე. პროგრამის სწავლის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. კერძოდ პროგრამის შეფასებაში მონაწილეობდა 26 აკადემიური პერსონალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ განვითარების სტრატეგიული გეგმა 2020 – 2024; ○ შრომის ბაზრის ანალიზი; ○ გასაუბრების შედეგები; ○ უსდ-ს ვებ-გვერდი: https://bsma.edu.ge/
რეკომენდაციები: ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანანმანათლებლო პროგრამის მიზნიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამაში მოცემულია 9 სწავლის შედეგი და კლასიფიცირებულია შემდეგი სახით: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხიმგებლობა და ავტონომიურობა.

მთლიანობაში პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზანს. როგორც უკვე აღვნიშნეთ პროგრამის მიზანია ,,შესძინოს სტუდენტს თეორიების და კონცეფციების ღრმა და სისტემური ცოდნა. გამოუმუშავოს ბიზნესის დინამიკურ გარემოში კრიტიკულია აზროვნება და გადაწყვეტილების მიღების უნარი. მოამზადოს კონკურენტუნარიანი ლიდერები, რომლებსაც ექნებათ საზღვაო ლოგისტიკის მენეჯმენტის თავისებურებების ცოდნა, მიმდინარე ტენდენციების აღქმის, გაანალიზების, შეფასების, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების უნარები და სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საკმარისი კომპეტენციები; ასევე კვლევითი პროექტების შესრულების უნარი“. ამ მიზნიდან გამომდინარე შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგები.

პირველი სწავლის შედეგის „მენეჯმენტისა და ლიდერობის თეორიების ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე კომპლექსურად განიხილავს მიმდინარე ბიზნეს პროცესებს დინამიურ გარემოში“ მიღწევას ემსახურება შემდეგი სასწავლო კურსები: საერთაშირისო ბიზნესი, პროექტის მენეჯმენტი, მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი, ტრანსფორმაციული ლიდერობა, სტრატეგიული მენეჯმენტი. თუმცა პროექტების მენეჯმენტი წარმოადგენს დარგობრივი მოდულის არჩევით დისციპლინას და შესაბამისად ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედგები მიღწევას.

მეორე სწავლის შედეგის ,,სიღრმისეულად აღწერს ეკონომიკურ თეორიებს, საბაზრო სტრუქტურის ანალიზისა და შეფასებისათვის საჭირო ინსტრუმენტებს, აცნობიერებს საზღვაო ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებს მენეჯერული თვალსაზრისით და მარკეტინგული სტრატეგიების როლს ბიზნესის მართვის პროცესში, აყალიბებს ელექტრონული საშუალებების გამოყენებით საქონელ მოძრაობის ნაკადების მართვის პრინციპებს;“ მიღწევას ემსახურება: მენეჯერული ეკონომიქსი, საზღვაო ეკონომიკა მენეჯერებისათვის, მარკეტინგის მენეჯმენტი, ელექტრონული ბიზნესი, ბიზნესში მონაცემთა ანალიზი და მოდელირება Excel-ის გარემოში.

მესამე სწავლის შედეგის ,,ორგანიზაციის ან ფუნქციონალური სფეროს წინაშე მდგარი კომპლექსური პრობლემების გადასაწყვეტად განსაზღვრავს ახალ ორიგინალურ გზებს და

სტრატეგიებს, კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპებს, გლობალური მიწოდების ჯაჭვის გარემოზე ზემოქმედებას სამართლის საერთაშორისო ასპექტების გათვალისწინებით“ მიღწევას ემსახურება შემდეგი სასწავლო კურსები: ფინანსური მენეჯმენტი, სტრატეგიული მენეჯმენტი, კვლევის მეთოდები, საზღვაო სამართალი, პორტის მენეჯმენტი და სტრატეგია, მწვანე გადაზიდვები და სტრატეგია. როგორც უკვე აღვნიშნეთ პროექტის მენეჯმენტის წარმოადგენს დარგობრივ არჩევით სასწავლო კურსს და მისი როლი სწავლის შედეგების მიღწევაში მინიმალურია. გარდა ამისა არ არის მოცემული სასწავლო კურსი, რომელიც ემსახურება მესამე სწავლის შედეგის განმტკიცებას.

მეოთხე სწავლის შედეგის ,,სიღრმისეულად ხსნის საზღვაო ლოგისტიკის მენეჯმენტის თანამედროვე პრაქტიკის მეთოდებს, გლობალურ ტენდენციებს პორტების ადმინისტრირების სფეროში, მდგრადი ლოგისტიკის და ინოვაციების მართვის კონცეფციების გათვალისწინებით ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის მიღწევის გზებს“ მიღწევას ემსახურება შემდეგი სასწავლო კურსები: ინოვაციების მენეჯმენტი, ცოდნის მენეჯმენტი, პორტის მენეჯმენტი და სტრატეგია, მწვანე გადაზიდვები და მდგრადი ლოგისტიკა, პორტის ლოგისტიკა. ცოდნის მენეჯმენტი, პორტის მენეჯმენტი არჩევით სასწავლო კურსებს მიეკუთვნება და ეს სასწავლო კურსები სწავლის შედეგების მიღწევას ნაკლებად ემსახურებიან. მეოთხე სწავლის შედეგის მიღწევა იწყება გაღრმავებით და სრულდება განმტკიცება, თუმცა სწავლის შედეგების მიღწევის ლოგიკა არის შემდეგი: გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება.

მეხუთე სწავლის შედეგის ,,კომპლექსური ინფორმაციის ინოვაციური სინთეზით და მენეჯერული უნარების გამოყენებით აანალიზებს სატრანსპორტო მომსახურებებზე მოთხოვნისა და მიწოდების მდგომარეობას, გადაზიდვების რისკებს, სასაქონლო ნაკადებს ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ეფექტურად მართავს ორგანიზაციულ რესურსებს“ მიღწევა ხდება შემდეგი სასწავლო კურსებით: ბიზნესში მონაცემთა ანალიზი და მოდელირება Excel-ის გარემოში, მენეჯერული ეკონომიკსი, პროექტების მენეჯმენტი, მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი, ელექტრონული ბიზნესი, საზღვაო ეკონომიკა მენეჯერებისათვის, გემის კომერციული მენეჯმენტი. აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევა ხდება არჩევითი საგნებით. ამას გარდა, სწავლის შედეგების მიღწევა იწყება გაცნობით, შემდეგ გაღრმავებით და განმტკიცებით სრულდება. თუმცა რუკის მიხედვით ერთი საგანი აღრმავებს, ხოლო დანარჩენი ხუთი საგანი ამტკიცებს.

მერვე სწავლის შედეგის ,,აანალიზებს კომპანიის ფინანსურ მდგრადობას და იღებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, შემოქმედებითი უნარების გამოყენებით წყვეტს მართვის პრაქტიკულ ამოცანებს“ მიღწევას ემსახურება შემდეგი სასწავლო კურსები: საერთაშორისო ბიზნესი, ფინანსური მენეჯმენტი, სტრატეგიული მენეჯმენტი, პორტის მენეჯმენტი და სტრატეგია, პორტის ლოგისტიკა. მერვე სწავლის შედეგის მიღწევის შემთხვევაშიც დარღვეულია გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცების ლოგიკა. ასევე გაუგებარია მერვე სწავლის შედეგს 4 სასწავლო კურსი რა პრინციპით ამტკიცებს. განმტკიცება განისაზღვრება სასწავლო/კვლევითი კომპონენტის კომპლექსურობით, რომელიც მოიცავს სწავლის შედეგების, შინაარსის, გამოყენებული ლიტერატურის სწავლის მეთოდების კომპლექსურობით.

მეცხრე სწავლის შედეგის მიღწევას ემსახურება შემდეგი სასწავლო კურსები: ,, ბიზნეს ინგლისური“, ,,ტრანსფორმაციული ლიდერობა“, ,,კვლევის მეთოდები“ ,,მწვანე გადაზიდვები და მდგრადი ლოგისტიკა“. მეცხრე სწავლის შედეგის მიღწევაში გაუგებარია

შემდეგისაგნები, ბიზნესი ინგლისური, ტრანსფორმაციული ლიდერობა, კვლევის მეთოდები, მწვანე გადაზიდვები და მდგრადი ლოგისტიკა როგორ უზრუნველყოფენ განმტკიცებას. ამ სწავლის შედეგის მიღწევაში არ ჩანს იმ სასწავლო კურსების როლი, რომელიც ემსახურება გაცნობასა და გაღრმავებას.

გარდა ამისა გაუგებარია როგორ ხდება შემდეგი სასწავლო კურსებით ,,ბიზნეს ინგლისური", ,,ტრანსფორმაციული ლიდერობა", ,,კვლევის მეთოდები" პასუხიმგებლობისა და ავტონომიურობის მიღწევა. კერძოდ ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეექვსე დონე პასუხიმგებლობასა და ავტონომიურობას განსაზღვრავს ,,კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა და მასზე პასუხისმგებლობის აღება. საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელება. საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა. საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება".

სწავლის შედეგების ანალიზისას არსად არ ჩანდა სამაგისტრო ნაშრომის როლი სწავლის შედეგების მიღწევაში, რომელიც ემსახურება თითქმის ყველა სწავლის შედეგის განმტკიცებას.

სწავლის შედეგების შეფასებისათვის შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. გეგმაში მოცემულია სწავლის შედეგების და იმ საგნების მიმართება, რომელსაც სწავლის შედეგი გაჰყავს განმტკიცების დონეზე. ამავე გეგმაში მოცემულია ცალკეული სწავლის შედეგის მიღწევის ინდიკატორი. სწავლის შედეგის შეფასების მეთოდი. თუმცა სწავლის შედეგების შეფასების გეგმა არ მოიცავს სამიზნე ნიშნულებს და შეფასების პერიოდულობას.
სწავლის შედეგები არის გაზომვადი, კერძოდ სწავლის შედეგების ფორმულირებისას გამოყენებულია აქტიური ზმნები. სწავლის შედეგები არის მიღწევადი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სწავლის სწავლის შედეგის მიღწევის დონეები არის დარღვეული და საჭიროებს დახვეწას.

პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი იცნობდნენ პროგრამის სწავლის შედეგებს. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ინტერვიურირების დროს აღნიშნავდა, რომ იღებდნენ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის; თუმცა სწავლის შედეგების შეფასება რამდენი პირის ან ვის მიერ ხდება არსად არ არის დაფიქსირებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- პროგრამის კურიკულუმის რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;

○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ○ პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია სწავლის შედეგების კურიკულუმის რუკაში, კურსებით სწავლის შედეგების მიღწევის დონეების (გაცნობა, გაღრმავება, გამტკიცება) ლოგიკის დახვეწა და გადახედვა და კურსის შინაარსთან შესაბამისობაში მოყვანა; • სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდირებულია თითოეული პროგრამის სწავლის შედეგისთვის განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები და შეფასების პერიოდულობა
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებ				

ლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირები, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ საერთო სამაგისტრო გამოცდებს, ასევე შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებს. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის ერთ-ერთი მოთხოვნაა ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე. შესაბამისად განმცხადებელი ვალდებულია ჰქონდეს დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნა B2 დონის სერტიფიკატით ან ჩააბაროს საზღვაო აკადემიის მიერ ორგანიზებული შესაბამისი ენის ფლობის დონის დასადგენი ტესტირება. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა ტარდება ბიზნესის ადმინისტრირებაში. საგამოცდო საკითხები განთავსებულია დაწესებულების ვებ გვერდზე. ხოლო შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის წესი მოცემულია სასწავლო პროცესის პროცედურაში. ამგვარად პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა https://bsma.edu.ge/; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ რეგისტრაცია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე: ○ დაწესებულების ვებ გვერდი; ○ შიდა საუნივერსიტეტო საგამოცდო საკითხები „ბიზნესის ადმინისტრირება“.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანანმანათლებლო პროგრამა შედგენილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის (დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2021 წლის 7 ივლისის №10/4 გადაწყვეტილებით) მიხედვით. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის მისანიჭებელი კვალიფიკაციით, მოიცავს 120 კრედიტს. აქედან ყოველ სასწავლო წელს სტუდენტს ეძლევა საშუალება აითვისოს 60 კრედიტი. ყოველი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 20 კვირას, საიდანაც 15 კვირა ეთმობა მეცადინეობების ჩატარებას, ხოლო 4 კვირა – სტუდენტთა საგამოცდო სესიის მიმდინარეობას. საგანმანათლებლო პროგრამაში 60 ECTS კრედიტი ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კომპონენტებია, რომელშიც გათვალისწინებულია არჩევითი სასწავლო ბლოკი 5 ECTS კრედიტის მოცულობით.

პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია კონცენტრაცია „საზღვაო ლოგისტიკის მენეჯმენტი“; საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს კონცენტრაციას „საზღვაო ლოგისტიკის მენეჯმენტი“, რომლის მოცულობაა 30 ECTS.
ძირითადი სწავლის სფერო მოიცავს შემდეგ სასწავლო კომპონენტებს: ბიზნეს ინგლისური, ფინანსური მენეჯმენტი, საერთაშორისო ბიზნესი, ბიზნესში მონაცემთა ანალიზი და მოდელირება Excel-ის გარემოში, მარკეტინგის მენეჯმენტი, მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი, ელექტრონული ბიზნესი, ტრანსფორმაციული ლიდერობა, კვლევის მეთოდები, სტრატეგიული მენეჯმენტი, Business Communications;
კონცენტრაცია მოიცავს შემდეგ სასწავლო კომპონენტებს: საზღვაო ეკონომიკა მენეჯერებისათვის, საზღვაო სამართალი, პორტის მენეჯმენტი და სტრატეგია, მწვანე გადაზიდვები და მდგრადი ლოგისტიკა, პორტის ლოგისტიკა, ემის კომერციული მენეჯმენტი. სამაგისტრო ნაშრომის განისაზღვრა 30 კრედიტით.
გამომდინარე იქიდან, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, ვფიქრობთ, რომ პროგრამა უნდა მოიცავდეს ბიზნესის სფეროს სასწავლო კურსებს თითქმის თანაბრად. პროგრამის ანალიზიდან ჩანს, რომ დომინირებს მენეჯმენტის საგნები (დაახლოებით 30 კრედიტი). ამას ემატება 30 კრედიტის მოცულობის საზღვაო ლოგისტიკის მენეჯმენტის კონცენტრაცია. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის ფარგლებში ისწავლება მარკეტინგი და ფინანსები. ამგვარად, საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე ვფიქრობთ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კომპონენტებს უნდა დაემატოს მინიმუმ ერთი მარკეტინგის (მაგალითად, სტრატეგიული მარკეტინგი, მომხმარებლის ქცევა ან ციფრული მარკეტინგი) და ფინანსების (მაგალითად, ინვესტიციების ანალიზი ან საერთაშორისო ფინანსები ან მმართველობითი აღრიცხვა) მიმართულების საგნები, გარკვეული საგნების ნაცვლად. (მაგალითად ბიზნეს ინგლისური, საერთაშორისო ბიზნესი, ბიზნეს კომუნიკაცია). ამას გარდა ვფიქრობთ, რომ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსებს უნდა დაემატოს პროექტების მენეჯმენტი. აღნიშნული საგნების დამატება კიდევ უფრო მეტად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის მიზნების მიღწევას, რომელიც შემდეგნაირად არის ფორმულირებული: შესძინოს სტუდენტს ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების მრავალმხრივი თეორიების, კონცეფციების, ძირითადი პრინციპების ღრმა და სისტემური ცოდნა კერძო, საჯარო და არაკომერციული ორგანიზაციების მენეჯმენტისათვის;

პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები მეტწილად არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული, მაგალითად Business Communications-ის წინაპირობაა ბიზნეს ინგლისური, პორტის მენეჯმენტის და სტრატეგიის წინაპირობაა სტრატეგიული მენეჯმენტი, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობაა კვლევის მეთოდები, სტრატეგიული მარკეტინგი, ბიზნეს ინგლისური, სტრატეგიული მენეჯმენტი, პორტის მენეჯმენტი და სტრატეგია, საზღვაო ეკონომიკა მენეჯერებისთვის, პორტის ლოგისტიკა. თუმცა ვფიქრობთ, რომ სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობა უნდა იყოს ყველა ძირითადი სფეროს სასწავლო კურსი.
პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის ანალიზიდან ჩანს, ასევე პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ მოწვეულ

პერსონალთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ გათვალისწინებულია სფეროს თანამედროვე მიღწევები. დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებისას დგინდება, რომ ისინი ჩართულები იყვნენ პროგრამის შემუშავების პროცესში. ამ მოსაზრებას ადასტურებს ფაკულტეტის საბჭოს ოქმი 3, ზუმის ჩანაწერი, სენატის გადაწყვეტილება, პროგრამის კომიტეტის შეფასება. საგანანმანათლებლო პროგრამა საჯაროდ ხელმისაწვდომია. ის განთავსებულია უსდ-ს ვებ გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი; • ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; • სასწავლო კურსის სილაბუსები; • ვებგვერდი -https://bsma.edu.ge/ • პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებებ (საბჭოს ოქმი 3, ზუმის ჩანაწერი, სენატის გადაწყვეტილება, პროგრამის კომიტეტის შეფასება; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, რეკომენდებულია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კომპონენტებს დაემატოს მარკეტინგის (მაგალითად, სტრატეგიული მარკეტინგი, ან მომხმარებლის ქცევა ან ციფრული მარკეტინგი და ფინანსების (მაგალითად, ინვესტიციების ანალიზი ან მმართველობითი აღრიცხვა ან საერთაშორისო ფინანსები) მიმართულების საგნები საგნები. რეკომენდებულია სასწავლო კურსის ,,პროექტების მენეჯმენტი“ დამატება ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების კომპონენტებში. • რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად განისაზღვროს ყველა ძირითადი სფეროს სასწავლო კურსები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მთლიანობაში თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას.

1.2 კომპონენტში დეტალურად განვიხილეთ სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის მიმართება.

სასწავლო კურსების სილაბუსებში-ლიტერატურაში მითითებული წყაროებია ქართველი და უცხოელი ავტორების სახელმძღვანელოები. ქართულად ნათარგმნი უცხოური წიგნების სიმწირიდან გამომდინარე სასწავლო კურსების ავტორების მიერ მომზადებულია ქართულენოვანი რიდერები, რაც ატვირთულია ბიბლიოთეკაში ელექტრონულ მატარებელზე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალისათვის.

პროგრამის ფარგლებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ,,სამაგისტრო ნაშრომი“. სამაგისტრო ნაშრომების შემოწმებისას გამოიკვეთა შემდეგი გარემოება, კერძოდ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის მიხედვით სამაგისტრო ნაშრომის მიზანია კვლევის უნარების განვითარება. სამაგისტრო ნაშრომების შემოწმების შედეგად ვლინდება, რომ კვლევითი კომპონენტი სუსტად არის წარმოდგენილი. კერძოდ ლიტერატურის ანალიზი, ციტირების სტილი, კვლევის მეთოდოლოგია და ამის საფუძველზე ჩატარებული კვლევა და მიღებული კვლევის შედეგები. ამას გარდა, ვფიქრობთ უნდა დაიხვეწოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დებულება, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი კვლევის განხორციელების კომპონენტები.

გარდა ამისა, ზოგიერთი სასწავლო კურსი, შინაარსით და გამოყენებული ლიტერატურის მიხედვით, არ შესაბამება სამაგისტრო საფეხურის დონეს. კერძოდ ეს სასწავლო კურსებია საერთაშორისო ბიზნესი, ელექტრონული ბიზნესი, ბიზნეს კომუნიკაციები. შესაბამისად უნდა მოხდეს ამ სასწავლო კურსების მაგისტრატურის საფეხურთან შესაბამისობაში

მოყვანა ან სხვა მაგისტრატურის საფეხურის საგნით ჩანაცვლება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ სამაგისტრო ნაშრომები; ○ ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან; ○ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია სასწავლო კურსების „საერთაშორისო ბიზნესი“ „ელექტრონული ბიზნესი“ და „ბიზნესის კომუნიკაციები“ შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს სამაგისტრო საფეხურის დონესთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას. სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საზღვაო აკადემია ყოველწლიურად აწყობს კონფერენციას, რომელშიც მონაწილეობას იღებენ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, ინტერესების მიხედვით, მონაწილეობა მიიღონ ოლიმპიადებში, სტუდენტთა დასაქმების ფორუმებში.

აღსანიშნავია, რომ საზღვაო აკადემიაში შექმნილია საზღვაო კვლევების და ინოვაციების ცენტრი. სამეცნიერო კვლევითი პოტენციალის ამაღლების მიზნით ცენტრი ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს. ერთ-ერთი აქტივობაა საზღვაო აკადემიაში სტუდენტების მიერ წარდგენილი სამეცნიერო, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებების დაფინანსება და აკადემიის მიზნების შესაბამისი პროექტებისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსების ხარჯვა, რეგულირდება სტუდენტური პროექტების წარდგენისა და დაფინანსების პროცედურის შესაბამისად.

სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიზნით შემუშავებულია „სტუდენტური და სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესი“, „საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისთვის აკადემიური პერსონალის და სტუდენტების შერჩევის და დაფინანსების წესი“ და გაცვლითი პროგრამის ადმინისტრირების წესი“. კვლევითი უნარების განვითარების მიზნით პროგრამის ფარგლებში ისწავლება ,,კვლევის მეთოდები“.

ამას გარდა, პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით აკადემია თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სასწავლო უნივერსიტეტებთან, ბიზნეს სექტორთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან, საერთაშორისო დამსაქმებლებთან, პრაქტიკის ობიექტებთან.

თუმცა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულების შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოება, კერძოდ უმრავლეს მემორანდუმები არ მოიცავს მითითებული სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ორგანიზაციებთან გაფორმებულიხელშეკრულებები/მემორანდუმები;
- „საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისთვის აკადემიური პერსონალის და სტუდენტების შერჩევის და დაფინანსების წესი“: https://bsma.edu.ge/media/files/6916ed83-ea72-436e-b60b-5f22a3c73b01.pdf
- „სტუდენტური და სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესი“ https://bsma.edu.ge/media/files/7b4efae3-5673-4b05-bb1e-dec6c52b9396.pdf
- „სტუდენტური პროექტების წარდგენისა და დაფინანსების პროცედურა“: https://bsma.edu.ge/media/files/a923bb64-9a9f-4940-aaa9-3acfb48a9d91.pdf
- „გაცვლითი პროგრამის ადმინისტრირების წესი“

https://bsma.edu.ge/media/files/732ce87b-dd6a-49f0-be17-d8e947dafe05.pdf

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ორგანიზაციებთან მემორანდუმების გაფორმებისას მითითებულ იქნას სტუდენტების რაოდენობა, რომლის მიღებასას კომპანია აპირებს სტაჟირებისას, ასევე მემორანდუმებში მკაფიოდ დაფიქსირდეს ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და კურსის შინაარსს. სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი მეთოდები და აქტივობები არის მრავალფეროვანი, როგორიცაა: ლექცია, სემინარი, ინტერაქციული ლექცია, გონებრივი იერიში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი და ა.შ. პროგრამაში გათვალისწინებულია სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით, სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში, რაც აღინიშნა სტუდენტების მიერ ინტერვიუს პროცესში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ 1.2 კომპონენტში სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში მოცემული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის შესაბამისი სწავლა სწავლების მეთოდები, რომელიც შესაბამისობაში პროგრამის სწავლის შედეგებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ სწავლის შედეგების შეფასების გეგმა; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება o ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას განსაზღვრული აქვს სტუდენტის სწავლის შედეგების (მიღწევების) შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით. სტუდენტის მიღწევების შეფასებისას სასწავლო უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული (ECTS) სისტემით (ბრიუსელი, 2005.14.02), ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით (2004.21.12) და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3; 2007.05.01) განსაზღვრული შეფასების 100 ქულიანი სისტემით,

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედებს სტუდენტის ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა. სტუდენტის საბოლოო შეფასება მოიცავს მიმდინარე, შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა წილიც საბოლოო შეფასებაში შეადგენს 45/15/40%-ს. შუალედური შეფასება მოიცავს: შუალედურ გამოცდას, მიმდინარე შეფასებებს და შეფასების სხვა კომპონენტს, რომელიც შეირჩევა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით და აისახება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. კრედიტის მისანიჭებლად მინიმალური ქულა არის 51. აღნიშნული ქულა შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულათა ჯამისაგან. ამასთან სტუდენტს გადალახული უნდა ჰქონდეს შუალედური და დასკვნითი შეფასებებისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, 21/16. შეფასების თითეულ ფორმაში განსაზღვრულა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

საგამოცდო ნაშრომების შესწორებისას სტუდენტის სახელი და გვარი დაშიფრულია ნაშრომზე რაც გამსწორებელს/ლექტორს არ აძლევს საშუალებას დააიდენტიფიციროს თუ ვის ნაშრომს ასწორებს. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში შემუშავებულია დოკუმენტი „გამოცდების ჩატარებისა და შეფასების პროცედურა“, მარეგულირებელ დოკუმენტში არ არის განსაზღვრული შედეგების ელექტრონულ სისტემაში, „ელექტრონულ ჟურნალში (students.bsma.edu.ge)“-ში ასახვის პერიოდი. აღსანიშნავია რომ უკუკავშირის სისტემა მეტად დახვეწილია აღნიშნულ პროგრამაზე ლექტორის მიერ შესწორებულ ნაშრომს თავისი კომენტარებით სტუდენტი ელექტრონულ ჟურნალში ხედავს. მაგისტრატურის სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებში მიღებული შუალედური ან/და დასკვნითი შეფასებები შედეგის

გაცნობიდან 48 საათის ვადაში, სტუდენტი უფლებამოსილია შეავსოს სააპელაციო განაცხადი-დასაბუთებული საჩივარი, განაცხადის შევსება ხდება ელექტრონულად თუ აპელაცია ეხება არაუმეტეს ორ საკითხს. აპელაციის შედეგად სტუდენტს შეიძლება მოემატოს ან მოაკლდეს ქულა. „შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, ნაშრომის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა, სტუდენტი უფლებამოსილია გააკეთოს სააპელაციო განაცხადი - დასაბუთებული საჩივარი, ნაშრომის კომისიური წესით განხილვის მიზნით. ამ შემთხვევაში განაცხადი იწერება აკადემიის კანცელარიაში“.

ბათუმის საზღვაო აკადემიის, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე არსებობს „სასწავლო პროცესის პროცედურა“, რომელშიც განმარტებულია სამაგისტრო ნაშრომის გაფორმებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მიზნით, გამოყენებული წყაროების დამოწმების ნორმები. ნაშრომები მოწმდება პლაგიატზე, Turnitin-ის მეშვეობით. ზეპირი გასაუბრებისას განგვიმარტეს რომ წინასწარ არის განსაზღვრული დამთხვევის პროცენტული ზღვარი 30%. „წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განხილვა, მათ შორის „Turnitin“-ს სისტემაში გატარება ხდება ფაკულტეტზე, რომელიც პასუხისმგებელია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება მისი საჯარო დაცვაზე დაშვების შესახებ“. სამაგისტრო ნაშრომს ჰყავს რეცენზენტი. აღსანიშნავია რომ სტუდენტს არ აქვს შესაცლებლობა თვითონ შეამოწმოს ნაშრომი პლაგიატზე. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად 100 ქულით კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულებიდან საშუალო არითმეტიკულის გამოყვანით.

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია მარეგულირებელ წესსა და სილაბუსებში, რაც ნიშნავს იმას რომ სტუდენტები წინასწარ ინფორმირებული არიან თუ როგორ მოხდება მათი შეფასება სასწავლო კურსის ფარგლებში. ინგლისურის სილაბუსში მითითებული იყო ზეპირი გამოცდა, დისციპლინის ხელმძღვანელთან დავაზუსტეთ, რომ აღნიშნუული უკავშირდება ვერბალური უნარების გაუმჯობესებას, აუცილებელია და დანერგილი ეფექტიანი პრაქტიკა აქვთ წლების მანძილზე.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს, მათ არ გამოუხატავთ უკმაყოფილება სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პედაგოგის მხრიდან უკუკავშირის მიღების თაობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სსიპ - „სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის“ თვითშეშეფასების ანგარიში; ○ სსიპ - „სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის“ „გამოცდების ჩატარების და შეფასების პროცედურა“; ○ სსიპ - „სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის“ „სასწავლო პროცესის პროცედურა. სამაგისტრო სწავლების საფეხური“; ○ სსიპ - „სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის“ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ სსიპ - „სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის“ ინტერვიუს შედეგები; ○ სსიპ - „სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, შეფასების მარეგულირებელ წესში მიეთითოს საგამოცდო ნაშრომის შეფასების დრო; • სასურველია, პლაგიატზე ნაშრომის შემოწმებისას სტუდენტებს ჰქონდეთ დამოუკიდებლად საცდელი ვერსიის ატვირთვის შესაძლებლობა პლაგიატის პროგრამაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სსიპ სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემების და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების პირობების შესახებ. მოწესრიგებულია სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდების სისტემა. სიახლეების მიწოდება მიმდინარეობს პორტალ „students.bsma.edu.ge“-ის მეშვეობით, სადაც თითოეულ სტუდენტს პირადი გვერდი აქვს, რომელზე წვდომასაც მომხმარებლით და პაროლით ახდენენ. სტუდენტებს ეძლევათ საშუალება აღნიშნული პორტალის მეშვეობით აირჩიონ საგნები, ნახონ შეფასებები, სტუდენტი იღებს ინფორმაციას საგამოცდო შეფასების შესახებ ლექტორის კომენტარებით დასკანერებულ ვერსიას, ამოწმებენ კრედიტებს; აქვთ შესაძლებლობა შეამოწმონ დავალიანება, გამოითხოვონ სხვადასხვა ცნობები, გაიგონ საგამოცდო თარიღები, მიიღონ ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობების, კარიერული განვითარების, გაცვლითი პროგრამებისა და სხვა მიმდინარე სიახლეების შესახებ. აღნიშნული პორტალი უკუკავშირის ძლიერი მექანიზმია, რადგან სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია თუ, რატომ დაიწერა ესა თუ ის შეფასება. ლექტორების და სასწავლო კურსის შეფასება პორტალის მეშვეობით ხორციელდება. აღსანიშნავია, არის ის რომ პორტალი შექმნილია უნივერსიტეტის ბაზაზე. სტუდენტებს სასწავლო მასალებზე წვდომა აქვთ როგორც ელექტრონულად,

მასალები ჩატვირთულია მათ ელექტრონულ გვერდზე, ასევე მატერიალურად, შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკის რესურსებით. სასწავლო მასალები რომლებიც მითითებულია სილაბუსებში ზოგ შემთხვევაში მოძველებულია, რასაც გასაუბრებისას ხაზი გაუსვეს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა. ზოგიერთი რიდერი მზადების პროცესშია და შემოწმების დროს დასრულებული არ იყო.

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხული მომიჯნავე პროგრამისსტუდენტები ინფორმირებული არიან აქტივობებზე, რომელიც მიმდინარეობს, ნაკლებად იღებენ მონაწილეობას. ნაკლებია აქტიურობა საერთაშორისო აქტივობებში. სტუდენტებს აქვთ კონსულტაციის შესაძლებლობა, რის შესახებ ინფორმაციას ელექტრონული პორტალიდან იღებენ ასევე ვებ-გვერდიდან და სოცილალური მედიის ჯგუფებიდან.

სტუდენტები იღებენ დასაქმებაზე და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციებს. სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა რომ სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმებისა და შემდგომი პროცედურების შესახებ სტუდენტების ინფორმირების დონე დაბალია.

სტუდენტებთან გასაუბრებისას მათ გამოთქვეს სურვილი, რომ ჩატარდეს სხვადასხვა როგორც ქართულენოვანი ასევე უცხოენოვანი საჯარო ლექცია მოწვეული დარგის წამყვანი სპეციალისტის მიერ, მათ აღნიშნეს რომ დრო როდესაც აღნიშნული ლექციები იმართება არ არის მისაღები მათთვის.

სტუდენტებს არ აქვთ ინფორმაცია სხვადასხვა სახის სამეცნიერო თუ ელექტრონულ ბაზებთან დაკავშირებით, გასაუბრებისას სტუდენტებმა ვერ დაგვისახელეს ვერცერთი ელექტრონული სამეცნიერო ბაზა, ამ მიმართულებით არც კურსდამთავრებულები იყვნენ ინფორმირებულები. პირადი მეილების მეშვეობით სტუდენტები სამეცნიერო ბაზებზე წვდომას უნივერსიტეტის გარეთაც შეუძლიათ. სტუდენტებს აქვთ კონსულტაციის შესაძლებლობა. სილაბუსებში მითითებულია ინფორმაცია კონსულტაციის ჩატარების დროსა და ადგილზე.

ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები არიან ჩართული საუნივერსიტეტო პროცესში, მაგალითად თვითშეფასების ანგარიშის კომისიაში იღებს მონაწილეობას სტუდენტი წევრი.

კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა რომ უნივერსიტეტთან კავშირი თითქმის აღარ აქვთ, არ იღებენ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობების პროექტების, პროგრამების გაუმჯობესების ან სხვა აქტივობების შესახებ.

უნივერსიტეტის მატერიალური ბაზის დათვალიერებისას ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სხვადასხვა სტუდენტური აქტივობებსითვის განკუთვნილ ადგილებს, რაც ხელს უწყობს

მათ აქტიურ განვითარებას. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას მათ მოგვმართეს რეკომენდაციით რომ უმჯობესი იქნება თანამედროვე მიდგომების გამოყენება სწავლების პროცესში. დამსაქმებლებმა და კურსდამთავრებულებმა ახსენეს, რომ პრაქტიკული ნაწილის გაუმჯობესება აუცილებელია. დამსაქმებლებმა ხაზი გაუსვეს პროექტების ნაწილში „prince2“ სწავლების საჭიროებას მათი თქმით ახალი კადრს თუ 1 წელი სჭირდება ადაპტაციისთვის აღნიშნული პროგრამის ცოდნით განახევრდება ადაპტაციის დრო. ხოლო კურსდამთავლებულებმა აღნიშნეს რომ „SAP“ პოგრამის სწავლა მათ ადამიანურ კაპიტალს ძალიან გაზრდის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სსიპ სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის, ვებ გვერდი; ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ ადმინისტრაციასთან, პროფესორ-მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები; ○ საუნივერსიტეტო ინრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების შედეგები; ○ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, სტუდენტთა ინფორმირება საერთაშორისო სამეცნიერო ელ-ბაზების შესახებ;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, თანამედროვე ლიტერატურის შესახებ ინფორმაციის მიწოდება სტუდენტბისთვის ○ სასუველია, სწავლების თანამდეროვე მეთოდების არამარტო სილაბუსებში არამედ პრაქტიკულად დანერგვა „ქეის სთადის“ პრაქტიკულად განხორციელება ○ სასურველია, საჯარო ლექციების ჩატარება დარგობრივი მიმართულებით სტუდენტებთან შეთანხმებით მათთვის ხელსაყრელ დროს. ○ სასურველია, კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციის არხების გაძლიერება რათა მათ მიეცეთ სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა, მაგალითად ესემეს შეტყობინებების გაგზავნა ○ სასურველია, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება მიმართულების შესაბამისი პროგრამების შეთავაზება: prince2 და SAP
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სსიპ სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს აქტიური კომუნიკაცია აქვთ თავიანთ ხელმძღვანელებთან. ინტერვიუს დროს მათ დაადასტურეს, რომ იღებენ საჭირო მასალებსა და ინფორმაციებს სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით, ასევე აღნიშნეს ხელმძღვანელების მხრიდან მზაობა ნებისმიერ დროს გაუწიონ შესაბამისი დახმარება. სემესტრის ბოლოს ტარდება გამოკითხვა იმის შესახებ თუ რამდენად კმაყოფილები არიან სტუდენტები გავლილი სასწავლო კურსით, სადაც შეუძლიათ დააფიქსირონ თავიანთი შეხედულებები ანონიმურად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობისა და ხელმძღვანელობის პროცესის ამსახველი დოკუმენტი, „სასწავლო პროცესის პროცედურა. სწავლების საფეხური - მაგისტრატურა“, რომელშიც მითითებულია თუ ვინ უნდა იყოს ხელმძღვანელი და რა ევალება. *„სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აკადემიური პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. ნაშრომის თემას სტუდენტი ირჩევს სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით*“. სასწავლო უნივერსიტეტს პროგრამის განხორციელების მიზნით ჰყავს სამაგისტრო ნაშრომების 8 ხელმძღვანელი, რაც ვფიქრობთ რომ საკმარისია. სასწავლო პროცესების პროცედური დოკუმენტის მე-12 მუხლი განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუქნციებს. კერძოდ მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აკადემიური ირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. ნაშრომის თემას სტუდენტი ირჩევს სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით. მე-4 პუნქტის ვ ქვეპუნქტი მიხედვით ხელმძღვანელმა ერთდროულად შეიძლება უხელმძღვანელოს მაქსიმუმ 3 სამაგისტრო ნაშრომს; მთლიანობაში დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში 24 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის პოტენციალი გააჩნია. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია სტუდენტთან იმუშაოს დისტანციურად მისცეს მითითებები დაეხმაროს სტუდენტს ვადების განსაზღვრაში.

ხელმძღვანელი წერს დასკვნას. სამაგისტრო ნაშრომის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია „სასწავლო პროცესის პროცედურა. სწავლების საფეხური - მაგისტრატურა“-ში, აგრეთვე სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში, რომელიც ხელმისაწვდომია თითოეული სტუდენტისთვის.
სამაგისტრო ნაშრომების განხილვის შედეგად ექსპერტთა ჯგუფი თვლის რომ სტუდენტებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია აკადემიური წერის სტანდარტებთან და გაფორმების წესებთან დაკავშირებით (იხილეთ 2.3 კომპონენტი).

რამტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის, ვებ გვერდი;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ადმინისტრაციასთან, პროფესორ-მასწავლებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- გამოკითხვის სტატისტიკური შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სტუდენტები ხელმძღვანელის მხრიდან იყვნენ ინფორმირებულნი აკადემიური წერის სტანდარტებთან დაკავშირებით

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან საქართველოს კანონმდებლობისა და სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის დადგენილი რეგულაციების შესაბამისად. აკადემიაში მოქმედებს „აკადემიური პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგია და წესი“, რომლის მიხედვით დადგენილია მინიმალური მოთხოვნები პროგრამის ადამიანური რესურსებით რაოდენობრივი მაჩვენებლების განსაზღვრისთვის, რაც ემსახურება პროგრამის მდგრადობის

უზრუნველყოფას. აკადემიური თანამდებობების დაკავება ხდება ღია კონკურსის ჩატარების წესის მიხედვით, რომლითაც განსაზღვრულია აკადემიური თანამდებობის დაკავების წინაპირობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კრიტერიუმები და კონკურსის ჩატარების პროცედურები და მოქმედებს მოწვეული მასწავლებლების პრაქტიკაც. ამ უკანასკნელთა შერჩევისთვის მოქმედებს ცალკე წესი, რომლითაც განისაზღვრება მათ მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ფლობის დადასტურების პირობები. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ფუნქციები, დატვირთვები და უფლებამოვალეობები რეგულირდება „აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესი“-თ. აკადემიური და მოწვეული პერსონალი თავიანთ საქმიანობას ახორციელებს ყოველწლიური ინდივიდუალური დატვირთვების შესაბამისად, რომელიც მოიცავს როგორც მათ სააუდიტორიო, ასევე სხვა სახის აქტივობებსაც.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი ეწევა სამეცნიერო საქმიანობას, აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებსა და ფორუმებში.

დაწესებულების შემუშავებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“ ადგენს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესორი, ან ასოცირებული პროფესორი, რომლის კანდიდატურასაც წარადგენს დარგობრივი დეპარტამენტი კურიკულუმის კომიტეტთან შეთანხმებით, რომელსაც იწონებს ფაკულტეტის საბჭო და პროგრამასთან ერთად ამტკიცებს სენატი. შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენცია მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შესაბამისობაშია. პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი. ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ ხელმძღვანელები აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულნი არიან პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტაციის ორგანიზებასა და პროცესში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

პროგრამა განხორციელდება ბიზნესის მართვის ფაკულტეტზე, რომელიც დაკომპლექტებულია საკმარისი რაოდენობის, შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 17 აკადემიური და 7 მოწვეული პერსონალი: აფილირებული აკადემიური პეროსნალის რაოდენობაა 16 (მათ შორის 4 პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი და 1 ასისტენტი). სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა 8. ამგვარად აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. „აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების წესი“ : https://bsma.edu.ge/media/files/bd27d047-260e-465e-96b4-386ee66ac663.pdf
2. „აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების დატვირთვისა და ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წესი“

3. „აკადემიური წოდების მინიჭების წესი“: https://bsma.edu.ge/media/files/aa9bf22f7c03-4d1b-b73e-c28d331d2496.pdf
4. „მოწვეულ მასწავლებელთა შერჩევის და შეფასების წესი“: https://bsma.edu.ge/media/files/4a7e3514-5368-43d6-9388-4c96aa651a66.pdf
5. „აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და წესი“: https://bsma.edu.ge/media/files/3437c965-ca1c-4a67-88e4- 70f8536dae9b.pdf
6. „ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა და პროცედურა“: https://bsma.edu.ge/media/files/b209a171-2402-4bca-8968-1c545b4b68b6.pdf
7. აკადემიური პერსონალის წლიურ საშტატო დატვირთვის ელექტრონული ფორმა.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

დაწესებულების მიერ ყოველწლიურად ხდება პერსონალის საქმიანობის შეფასება, რაც შემდგომ აისახება პერსონალთან სამომავლო ურთიერთობების გაგრძელებაზე. იმ შემთხვევაში, თუ შეფასება უარყოფითია, დაწესებულების შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ ხდება მიზეზების დადგენა და პრობლემის გამოსწორების გზების გამონახვა. ყველა პრობლემურ საკითხზე დაწესებულების მიერ კეთდება სათანადო რეაგირება. თუმცა, როდესაც გამოკითხვის შედეგების საფუძველზე ვლინდება საუკეთესო ლექტორი, დაწესებულება არ ახორციელებს რაიმე ქმედებას ამ პირის მიღწევების აღსანიშნად. ასევე, გარდა სტუდენტების შეფასებისა, დაწესებულების წარმომადგენლები ერთმანეთს ესწრებიან ლექციებზე შეფასების მიზნით. დაწესებულება სისტემატიურად ატარებს სამეცნიერო კონფერენციას, სადაც პერსონალი წარადგენს საკუთარ სამეცნიერო-კვლევით ნაშრომებს. დაწესებულება ასევე უზრუნველყოფს პერსონალს შესაბამისი ტრენინგებით, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში მონაწილეობით, სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობით, მათ შორის, პარტნიორ უნივერსიტეტებთან გამოცდილების გაზიარების კუთხით. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართვას. ამ კუთხით ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის შვიდი აკადემიურმა პერსონალი მონაწილეობდა Erasmus+ გაცვლით პროექტში. სამი აკადემიური პერსონალი მონაწილეობს Sustainable Rural Tourism and Entrepreneurship" University of South-Eastern Norway-ის პროექტში. საზღვა აკადემიას ბიუჯეტში განსაზრვრული აქვს თანხა, რომელიც ემსახურება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვლევით და პროფესიულ განვითარებას. დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა კომპანიასთან, თუმცა მემორანდუმები ძალიან ზოგადია, არ არის მითითებული სტუდენტების რაოდენობა და ასევე, ხშირ შემთხვევაში, არ არის მითტებული მემორანდუმის ხელმომწერი მხარეები (მაგ: ვილჰელმსენ 10.01.2022; GEO UFIT 20.02.2022; MGL 10.01.2022 და ა.შ.). ასევე, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მემორანდუმები გაფორმდეს ასევე ნავსადგურებთან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია მოცემულია 2.4 კომპონენტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. „საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისთვის აკადემიური პერსონალის და სტუდენტების შერჩევის და დაფინანსების წესი“: https://bsma.edu.ge/media/files/6916ed83-ea72-436e-b60b-5f22a3c73b01.pdf 2. „სტუდენტური და სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების წესი“ : https://bsma.edu.ge/media/files/7b4efae3-5673-4b05-bb1e-dec6c52b9396.pdf 3. „გაცვლითი პროგრამის ადმინისტრირების წესი“ : https://bsma.edu.ge/media/files/732ce87b-dd6a-49f0-be17-d8e947dafe05.pdf 4. „კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიული გეგმა (2020-2024 წწ)“: https://bsma.edu.ge/media/files/a0c5bad0-9075-420d-8cbb-e4664a4ab882.pdf 5. პერსონალის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესი“:

https://bsma.edu.ge/media/files/741872e5-ee46-4eed-9e8f-a148e270d1c0.pdf

6. „სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელებისა და დაფინანსების წესი“: https://bsma.edu.ge/media/files/741872e5-ee46-4eed-9e8f-a148e270d1c0.pdf
7. ხელშეკრულებები და მემორანდუმები: https://bsma.edu.ge/page/memorandumebi

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- სასურველია დაწესებულებამ განიხილოს საუკეთესო თანამშრომელთა წახალისების შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისმატერიალურ-ტექნიკური ბაზა პასუხობს პროგრამის განხორციელების მიზნებს. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი ყველა აუდიტორია აღჭურვილია შესაბამისი მონიტორებით, პროექტორებით და ინვენტარით. სტუდენტებს აქვთ თავისუფალი წვდომა ინტერნეტზე.

საზღვაო აკადემიაში ფუქნციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც არის გამოყოფილი სივრცე შშმ პირებისთვის. ბიბლიოთეკას გააჩნია სამკითხველო დარბაზი, ინტეგრირებული ელექტრონული მატარებლების გაცნობის კომპიუტერული სივრცე, წიგნთსაცავი. აკადემია არის აღჭურვილი თანამედროვე ლიტერატურით და აქვს წვდომა სხვადასხვა საბიბლიოთეკო ბაზასთან, როგორიცაა:

Cambridge university press;

- ➢ Bioone;
- ➢ e-duke journals Scholarly Collections;
- ➢ Edward elgar publishing journals;
- ➢ IMF e-library;

➢ Royal society journals collection;

ბიბლიოთეკა პერიოდულად აწარმოებს სტატისტიკას სამეცნიერო ელექტრონული ბაზების მოხმარების შესახებ.

ბიბლიოთეკას გააჩნია როგორც მექანიკური, ისე ელექტრონული კატალოგი, ასევე საძიებო სისტემები (ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ILS ვებ-კატალოგის სერვისი evergreen marc – 21 ბაზაზე).

თუმცა, ბიბლიოთეკას არ აქვს განახლებული შიდა კანონდებლობა. არ აქვს წვდომა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე. ბიბლიოთეკაში მოიძებნა ძველი კანონმდებლობა, მაგ. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, საქართველოს საზღვაო კოდექსი არ იყო განახლებული კოდიფიცირებული ვერსიით; MLC კონვენცია (ინგლისური ვერსია) წარმოდგენილი იყო ძველი ვერსიით, რაც მიუთითებს განახლებული საკანონმდებლო აქტების მიოწდების არასისტემატიურობაზე.

სასურველია გადაიხედოს საბიბლიოთეკო ფონდი და განახლებული იქნას კანონმდებლობა. ასევე, მიეცეს წვდომა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე“ ბიბლიოთეკის თანამშრომელს, ან სისტემატიურად მიეწოდოს განახლებული, კოდიფიცირებული სამართელბრივი აქტები.

დაწესებულება შესაბამისის პირების და ვებ გვერდის საშუალებით სტუდენტები აწვდის ინფორმაციას მატერიალური რესურსის, საბიბლიოთეკო ფონდის და ელექტრონული რესურსების გამოყენების შესაძლებლობასა და წესების თაობაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. საზღვაო აკადემიის ბიბლიოთეკა: https://library.bsma.edu.ge/
2. „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ : https://bsma.edu.ge/media/files/af1a3960-b078- 4b85-b3e7-083161973162.pdf
3. Georgian Maritime Scientific Journal https://openjournals.ge/index.php/gmsj
4. IMO vega : https://www.imo.org/en/Publications/Pages/IMO-Vega.aspx
5. „სასწავლო დანადგარების, აღჭურვილობის და საკონტროლო გამზომი საშუალებების ხარისხისა და უსაფრთხოების მართვა“: https://bsma.edu.ge/media/files/4d8faf89-626d-4c2c-8ee4-59ed18c0c4b1.pdf
6. შესყიდვების დოკუმენტაცია.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გადაიხედოს საბიბლიოთეკო ფონდი და განახლებული იქნას კანონმდებლობა. ასევე, მიეცეს წვდომა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე“ ბიბლიოთეკის თანამშრომელს, ან სისტემატიურად მიეწოდოს განახლებული, კოდიფიცირებული სამართელბრივი აქტები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიუჯეტი შედგენილია საერთი ფორმით კანონმდებლობით განსაზღვრული საბიუჯეტო კლასიფიკატორის მიხედვით, სადაც ყველა მუხლში გათვალისწინებულია ფაკულტეტების მოთხოვნები მათი აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტთა რაოდენობების პროპორციულად, რაც ადასტურებს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსურ უზურუნველყოფას და მდგრადობას.

ასევე, წარმოდგენილი იქნა პროგრამის ბიუჯეტი, რომელშიც გათვალისწინებულია პროგრამის მოთხოვნები კანონმდებლობით განსაზღვრული კლასიფიკატორების მიხედვით, რაც ადასტურებს პროგრამის ფინასურ მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. განვითარების სტრატეგიული გეგმა: https://bsma.edu.ge/media/files/de97fdb0-9b34-4a92-b040-b3be9733aea9.pdf 2. საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად უნივერსიტეტის „შიდა ხარისხის უზრუნველყოფა“ და „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები“-ის საფუძველზე.

აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას.

ხარისხის უზრუნველყოფა მოქმედებს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ ციკლის შესაბამისად და გამოიყენება შემდეგნაირად: (1) პროგრამის შემუშავება და დამტკიცება, (2) განხორციელება სასწავლო გეგმის მიხედვით; (3) მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი (სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შედეგების ანალიზი და ა.შ.); (4) შედეგების გათვალისწინება და პროგრამის მოდიფიცირება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტები ჩართულნი არიან გაწეული მომსახურების უწყვეტი მონიტორინგის პროცესში. მონიტორინგი ძირითადად ხორციელდება მიზნობრივი ჯგუფების გამოკითხვის და სასწავლო პროცესზე დაკვირვების მეშვეობით. გამოკითხვის ფორმებში შეტანილია ისეთი საკითხების შეფასება, როგორიცაა - საგანმანათლებლო პროგრამებით, სწავლის შედეგებით კმაყოფილება, მართვის პროცესების, ინფრასტრუქტურის შეფასება, მათი განვითარების საჭიროებები, აკადემიური პერსონალის, მატერიალური ბაზის შეფასება და სხვ. მოპოვებული ინფორმაციის შედეგების გათვალისწინებით ხდება მონაცემების დამუშავება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტის გზების შერჩევა.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის ხარისხის უზრუნველყოფისა და

გაუმჯობესების შიდა შეფასების სისტემა, რომლის თანახმადაც განხორციელდა წარმოდგენილი პროგრამის შიდა შეფასება. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულად მიღწევის მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელებსა და აკადემიურ პერსონალს გაეწია კონსულტაციები და მიეცათ კონკრეტული რეკომენდაციები, რაც გათვალისწინებული იქნა პროგრამის სრულყოფის პროცესში. სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებასა და განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე პროგრამის კომიტეტი ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით (ოქმი №17, 01.12.2021). კომიტეტის წევრები აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების განხილვის პროცესში, გადაწყვეტილებების მიღებაში პროგრამების საგანმანათლებლო მიზნების დადგენასა და მათ მოდიფიცირებასთან მიმართებაში, სასწავლო კურსის სილაბუსებისა და საბიბლიოთეკო რესურსების შემოწმებაში. კომიტეტის მიერ მიწოდებული არგუმენტირებული შენიშვნები და მოსაზრებები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის ხელმძღვანელების მიერ. თვითშეფასების ანგარიშიდან და ექსპერტთა ჯგუფის ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტი ახორციელებს სამაგისტრო პროგრამის ხარისხის შეფასებას აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით, ატარებს ინტერვიუებს დაინტერესებულ მხარეებთან, სწავლობს ბაზარს, იკვლევს პროგრამის განვითარებისთვის ახალ შესაძლებლობებს და ახორციელებს მათ იმპლემენტაციას პროგრამაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და თვითშეფასების პროცესში ჩართული პერსონალი მუშაობის პროცესში მუშაობდა არა მხოლოდ ნაკლოვანებების გამოვლენის მიმართულებით, არამედ აანალიზებდა გამოვლენილ ნაკლოვანებებს და მათი გამოსწორების ქმედებებსა და გზებს. უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების განვითარებისა და სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები და ტრენინგები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა წარმოადგინა კვლევები და გამოკითხვების ანალიზი უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული ღონისძიებების/ტრენინგების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „შიდა ხარისხის უზრუნველყოფის“ დოკუმენტი ○ „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურების“ დოკუმენტი ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა
- შრომის ბაზრის კვლევა
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანალიზი;
- სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან
- პროგრამის კომიტეტის შეფასება.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გარე შეფასების მიზნით ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია იყენებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს. საზღვაო აკადემია, როგორც საზღვაო განათლების განმახორციელებელი დაწესებულება ექვემდებარება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) ეგიდით მიღებული კონვენციების მოთხოვნებით საქმიანობის ხარისხის მართვის სერტიფიცირებას. 2001 წლიდან მოყოლებული საზღვაოა კადემია ISO9001 სტანდარტის შესაბამისად აკადემია წარმატებით გადის ზედამხედველობით და სასერტიფიკაციო აუდიტებს, რომელის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების და სწავლების მეთოდების შემუშავების, უმაღლესი საზღვაო განათლების სპეციალისტთა მომზადებისა და გადამზადების კუთხით, ნაციონალური და საერთაშორისო საგანმანათლებლო და საზღვაო კანონმდებლობის დონეზე შესაბამისობის დადგენა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გარე აუდიტის შედეგად აღმოჩენილი შეუსაბამობების საფუძველზე შეიმუშავებს „ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ანალიზის შედეგების ანგარიშს“ რომელშიც ასახულია სერტიფიცირების ორგანოს მიერ ჩატარებული გარეშე მოწმების შედეგები, ხარისხის მენეჯმენტის შიდა შემოწმების მასალები, მომხმარებლის კმაყოფილების კვლევის ანალიზი, პროცესების შესრულებისა და მათი შესაბამისობის დადასტურება-ფაკულტეტების, სამსახურების, სტრუქტურული ერთეულების, დეპარტამენტების, პროფესიული და საწვრთნელი ცენტრის ანგარიშები, შიდა და გარე აუდიტების და მონიტორინგის შედეგების მაკორექტირებელი და პრევენციული ქმედებების სტატუსის მაჩვენებელი, წინმსწრები სისტემური ანალიზის სტატუსის მაჩვენებელი, სისტემური ცვლილების შესახებ, ნორმატიულ დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილებების ანალიზი, გაუმჯობესების რეკომენდაციები. ასევე სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებული რეკომენდაციებისა და რჩევების საფუძველზე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განვითარებას და დახვეწას. პროგრამის გარე შეფასება განხორციელებულია დამსაქმებლების და ასევე ორი დამოუკიდებელი ექსპერტის გარე შემფასებლის მიერ პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის შემუშავებისას. შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა პროგრამის მოდიფიკაციისას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ○ დამსაქმებელთა შეფასების ანალიზი ○ გარე ექსპერტის შეფასება ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ○ ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება ძირითადად ხდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვით და სასწავლო პროცესის მონიტორინგის გზით. ხარისხის უზრუნველოფის სამსახური ყოველი სემესტრის ბოლოს ახორციელებს სტუდენტების მიერ სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასებას კითხვარების საშუალებით (გამოკითხვა სტუდენტთა ელექტრონული ბაზის მეშვეობითაა შესაძლებელი). ხორციელდება სტუდენტთა სასწავლო კურსით კმაყოფილების ანალიზი.

მიღებული შედეგები მუშავდება პროგრამის შემდგომი დახვეწისთვის.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში დასტურდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილია პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, დამსაქმებლებთან საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით ჩატარებული შეხვედრების დამადასტურებელი ოქმები, სადაც აღწერილია მონაწილეთა შეფასებები და მათი მხრიდან დაფიქსირებული რეკომენდაციები და რჩევები. აღნიშნულ პროცესში ჩართულობას ადასტურებს ყველა დაინტერესებული მხარე ინტერვიუების დროს. სახელდება მათი მხრიდან დაფიქსირებული რეკომენდაციების პროგრამის ხელმძღვანელის მიერ გათვალისწინების კონკრეტული შემთხვევები.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონიტორინგის მიზნით ესწრება ლექციებს/პრაქტიკულ მეცადინეობებს, აანალიზებს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამის ან ცალკეული სასწავლო კურსის სრულყოფისათვის. ასევე შედეგებთან დაკავშირებით ხდება კომუნიკაცია პედაგოგთან და საჭიროების შემთხვევაში ხდება რეკომენდაციებისა და რჩევების მათთვის გაზიარება. პროგრამა იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების ლექციაზე დასწრებას და ერთმანეთთან უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

რადგან პროგრამა ახალია, წარმოდგენილია მომიჯნავე პროგრამების სტუდენტთა აკადმიურ მოსწრების ანალიზის შედეგები რომელიც ეფუძნება შესაბამისი გაუსის ცხრილების ელექტრონულ პლატფორმაზე ინტეგრაციას. შეფასების შედეგების გაანალიზების საფუძველზე ხდება პროგრამის და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირება/ადაპტირება მისი განახლების უზრუნველსაყოფად.

სამაგისტრო დონეზე მნიშვნელოვანი კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომის დაწერა და დაცვა, თუმცა შემთხვევითი პრინციპით შერჩეული ნაშრომების შემოწმებისას გამოიკვეთა კვლევითი კომპონენტის სისუსტე (იხილეთ 2.3 კომპონენტი), რაც გარკვეულწილად დაკავშირებულია ნაშრომის შესრულების ინსტრუქციასთან; შესაბამისად სასურველია გადაიხედოს და დაიხვეწოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დებულება და გაძლიერდეს ნაშრომების შესრულებაზე პერიოდული მონიტორინგი.

უნივერსიტეტისთვის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის

სისტემატური შეფასება, რაც გამოიხატება მათი მხრიდან ყოველწლიური ან ყოველსემესტრული ანგარიშების წარმოდგენაში. ანგარიშებში აისახება ინფორმაცია, მათი მიღწევების, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის, სტატიების გამოქვეყნების, მოზიდული ადგილობრივი თუ საერთაშორისო გრანტების შესახებ და სხვ. აღნიშნული საქმიანობა დასტურდება დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების და ნაწილი აკადემიური პერსონალის რეზიუმეებიდან და ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარული შეფასების ანგარიშებით. სასწავლო წლის ბოლოს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის, აკადემიური პერსონალის დატვირთვებისა დასასწავლო ცხრილების შესაბამისობას, აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებული დატვირთვების შესახებ „შემაჯამებელი ანგარიშის“ საფუძველზე. პროგრამის თვითშეფასების პროცესში განხორციელდა პროგრამის შედარება წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რაც დასტურდება შესაბამისი ინტერვიუებით და ასევე ანალიზის შედეგებიც არის დოკუმენტირებული. მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი; ○ სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი; ○ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ანგარიშები; ○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; ○ ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; ○ ინტერვიუ სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: რეკომენდებულია გაძლიერდეს სამაგისტრო ნაშრომების შესრულებაზე პერიოდული მონიტორინგი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის •

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო რპოგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 44

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

დავით სიხარულიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ილია ბოცვაძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა

ქრისტინა რზგოევა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თამარ ღუღუნიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა